20.08.2018

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის ივლისი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0,8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 10,9 პროცენტიანი ზრდა.

წლიურ პერიოდში ფასები 11,6 პროცენტით გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 6,6 პროცენტიანი ზრდა. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 1,2 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის ივლისში იმპორტის ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	110.9	10.89
C	სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	106.6	0.66
D	გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	111.6	10.30
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	143.7	4.92
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	124.7	1.83
E	ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	98.8	-0.06

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე=100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge